


თავისუფალი საქართველო

ეროვნული
ბიულეტენი

მრავალი მაგიდის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 4

10 XI 1990



მწვერვალი „თავისუფალი საქართველო“

მთამსვლელებს ჩვევად აქვთ დაულაშქრავი მწვერვალის პირველმსვლელობა უფლებით მონათვლა, ან თუნდაც დაპყრობილი, მაგრამ უსახელო პიკისთვის სახელის დარქმევა. სამწუხაროდ, ამ სერიოზულ საქმეში ზოგჯერ მთამსვლელებს მცდარი ნაბიჯებიც გადაუდგამთ და მათი შეცდომების გამოსწორება მომავალ თაობებს უხდებათ.

თავის დროზე ყაზბეგის რაიონში, ხდის ხეობაში აღმართულ ერთ-ერთ მწვერვალს ქართველმა მთამსვლელებმა ლავრენტი ბერიას სახელი უწოდეს და იქ მისი ბიუსტიც აათრეს. მერე, როცა ბერიას სახსენებელი მოსპეს, რაღა თქმა უნდა, „მის“ მწვერვალსაც სახელი გადაარქვეს და ბიუსტიც უფსკრულში გადააუქაჩეს.

ასე დაემართა პამირის მთებში აღმართულ საბჭოთა კავშირის უმაღლეს მწვერვალსაც, რომელსაც ჯერ სტალინის პიკი დაარქვეს, მერე კომუნისტებისა და იფიქრეს, ეგ არის და შეცდომა გამოვასწორეთ.

კარგა ხანია კომუნისტების იდეებს აჯანჯლარებენ და მასთან ერთად კომუნისტების პიკსაც, რომელსაც, აღბათ, იმეღია, კვლავ გამოუცვლიან სახელს. ჯანჯლარებს ასევე შორეულ პამირში აღმართული საბჭოთა კავშირის, სიმალლით მეორე მწვერვალი ლენინის პიკიც ეტყობა, მასაც გვარიანად აქვს წყალი შეყენებული.

ისე, ღმერთმანი, საკვირველია, რომ ეს „ჩვენი“ უმაღლესი მწვერვალი კომუნისტების სახელს ატარებს, ხოლო კომუნისტების იდეებისთვის უპირველესი მებრძოლის სახელი კი ცოტა ტანმორჩილ პიკს დაარქვეს, მაგრამ გვიან გაორკვია, რომ კომუნისტებისავე ტაშფანდურით მიმავალნი სულ უფრო დავსორებდით მას და ჩვენი მიზანი მართლაც მიულწეველი მწვერვალი აღმოჩნდა.

ახლა, როგორც იტყვიან, პირს წაუღია ერთიცა და მეორეც და ჩვენს მშობლიურ მთებ-

ში დავბრუნდეთ, კერძოდ, იმავე ხდის ხეობაში, სადაც ძველი თაობის ქართველ მთამსვლელებმა კიდევ ერთი შეცდომა იყო გამოასწორებელი. საუბარია საქართველოში კომკავშირის ფუნქციონირების ბორის ძნაძის სახელობის მწვერვალზე. მისთვის სახელის გადაარქმევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 44-ე ტრადიციული ალპინიადის მონაწილეებმა განიზრახეს. ნათლობის საკითხი ჯერ კიდევ თბილისში გადაწყდა უნივერსიტეტის გიორგი ნიკოლაძის სახელობის კლუბში (კლუბისა და ალპინიადის ხელმძღვანელი — თბილისის უნივერსიტეტის დოცენტი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი შოთა მირიაშვილი). მწვერვალის სახელიც მშვენიერი მოიფიქრეს — „თავისუფალი საქართველო“. იქვე გადაწყდა, რომ ნათლობის როლი დაკისრებოდა იმ ჯგუფს, რომელიც პირველი ავიდოდა ამ მწვერვალზე.

ეს პატივი წილად ხვდა ვაჟა ბერუაშვილის ჯგუფს, რომელშიც შედიოდნენ თანრიგოსანი მთამსვლელები: ვანო გულედიანი, ირაკლი კაპანაძე და ალექსი ოდიშელი. მათ განახორციელეს ტრადიციული მწვერვალ „რუსთაველიდან“ „ძნელაძემდე“. ისინი „ძნელაძეზე“ კი ავიდნენ, მაგრამ „თავისუფალი საქართველოდან“ ჩამოვიდნენ.

ეს ტრადიქსი საშუალოზე რთული, მე-4 ბ კატეგორიისაა, ხოლო „თავისუფალი საქართველო“, როგორც დამოუკიდებელი მწვერვალი, მე-3 ბ კატეგორიით განისაზღვრება.

„თავისუფალი საქართველო“ ამ რაიონში სიმალლით (4200 მეტრის ფარგლებში) მხოლოდ შანს ჩამორჩება.

„თავისუფალი საქართველო!“ — ეს სახელი მწვერვალს ერქმევა, ვიდრე იარსებებს საქართველო.

ავთანდილ გარასხვილი,
ალპინიადის მონაწილე,
ავტორის ფოტოგრაფია



უცხოეთის პრესის მიმოხილვა

საზღვარგარეთის პრესა, რომელიც დიდი ყურადღებით აშუქებს საქართველოში და თავისუფლებისათვის მებრძოლ ზოგიერთ სხვა საბჭოთა რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენებს, არ მოელოდა, რომ პარლამენტის არჩევნების დღე ასეთი მშვიდობიანი გამოდგებოდა.

იხ. მე-7 გვ.

სიტყვა თქვალი „შოთაოზაზა“

ეს არის ის ბნელეთი, რომელიც ყოველ ეპოქაში ებრძოდა ნათელს, ებრძოდა სიკეთეს, ებრძოდა ღმერთს, ებრძოდა საქართველოს და საქართველო იყო მარადის ქომაგი ღვთის სიკეთისა, ღვთისა, საღვთო ნათლისა და იბრძოდა საღვთო ნათლის სახელით ამ ბნელეთის ძალების წინააღმდეგ და დღესაც ასე იბრძვის, ძმანო, დღესაც ასე იბრძვის, მიუხედავად იმისა, რომ ტარიელი დაცემულია, დათრგუნულია ნესტანის დაკარგვით, გახიზნულია ქვაბში, ველად იარება, რამეთუ სამშობლო მისი ხატაელთა აქვთ დაპყრობილი, მაგრამ იგი მოიკრებს ძალას, მოირთავს ძმათა თვისთა, გაძლიერდება, განმტკიცდება, აიღებს ქაჯეთს, დაამხოვს ქაჯეთს, იმპერიის ქაჯეთს დაამხოვს და გამოიხსნის თავისუფლებას, ნესტანს — თავისუფალ საქართველოს!

იხ. მე-8 გვ.

კომუნისტების დამარცხება დიდი სიხარული მოაჩინა

თუ გავითვალისწინებთ, რომ არჩევნებს წინ უსწრებდა დაძაბული სიტუაცია მთელ საქართველოში, შეიძლება ითქვას, რომ არჩევნები ბრწყინვალედ ჩატარდა. არც მქონდა იმედი, რომ ყველაფერი ასე კარგად ჩაივლიდა, ხანდახან არჩევნების ჩაშლის შიშიც კი მქონდა.

იხ. მე-5 გვ.

მხოლოდ ამხელა ელფა, მხოლოდ ერთობის ეკრებდა ძალას, ენერჯიას და ინარჩუნებდა სულის ხანძარს, ხანძარს მონატრებულს, საქართველოს უნახავად არ დაესრულებინა წუთისოფელი. აქ იწინასწარმეტყველა კადმი, იმისთვის ჩამოვიდა, რომ ჩემი ბებერი ძეგლები ქართულ მიწაში ჩავეყარო. აღბათ ძნელი წარმოსადგენია აღაზიანს ახე აუხდეს ნატვრა, დიდი ხნის იცნება...

ჩვენ კი გულბატკივლით მივაცილებთ მარადიულ საზღვრებში ქაჯეთს ჩოლოყაშვილის უკანასკნელ წიფიცულს, თავისუფალი საქართველის მოქალაქენ

ალექსანდრი სულხანიშვილი

საქართველოს
ეროვნული
ბიულეტენი

ქრონიკა

ინფორმაცია

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის
ბრძანებულება

საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი ხარისხის მოწვევის
შეახლება
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ადგენის
მოწვეულ იქნეს საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი სესია 1990 წლის
14 ნოემბერს 10 საათზე ქ. თბილისში.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარაძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.
თბილისი. 1990 წლის 5 ნოემბერი.

კამპანია მრავალი
მაგიდის წინააღმდეგ
მარნეულის რაიონში


მარნეულის რაიონის პირველი მდივანი რ. მემარნიშვილი და მისი მადია
არჩევნების წინა პერიოდში ყოველნაირად აშინებდნენ აწერბაიჯანულ მოსახლ-
ეობას მრავალი მაგიდის შესაძლო გამარჯვებით, რაც ვითომდაც აწერბაიჯანე-
ლებს მოუტანდა დიდ უზედურებას, საქართველოდან გასახლებას, გენოციდს
და სხვა. ამ გზით მათ მიადრწიეს იმას, რომ მარნეულის მოსახლეობის დიდმა ნა-
წილმა ხმა მისცა კომპარტიას. აი ის პირები, რომელნიც აქტიურობდნენ მრავა-
ლი მაგიდის დისკრედიტაციაში:

- 1. თემურ ბერიძე — მარნეულის კომპარტიის II მდივანი
- 2. სოსო ხარშილაძე — აგიტაცია-პროპაგ. განყოფილ. გამგე
- 3. მურმან ჩიტიანი — აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე
- 4. რეზო ჩხიტიანი — აგროსამრეწველო გაერთიანების სარევიზ. განყოფილ. უფროსი
- 5. გიორგი კახარაძე — სოფელ წერეთლის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე
- 6. კანდიდ ნადირაძე — წერეთლის მეზობსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი
- 7. ბრიგოლ შუბიტიძე — სახალხო ფრონტის თავმჯდომარე
- 8. ანდრეას შუბიტიძე — მარნეულის ავტონსპექციის უფროსი
- 9. პაატა შუბიტიძე — საგზაო სამმართველოს უფროსი
- 10. გივი ასანიძე — სარაიონთაშორისო მომარაგების ბაზის უფროსის მოადგილე
- 11. ბელა შუბიტიძე — მილიციის თანამშრომელი
- 12. გოდარძი ასანიძე — სანაყინე სააშქროს უფროსი
- 13. ჯოტო ჯოსაძე — ავტოსადგურის უფროსი
- 14. თემურ ტოგონიძე — ცეკავშირის გარაჟის დირექტორი
- 15. ბარბან გიორგაძე — ექსპერიმენტული ქარხნის დირექტორი
- 16. შირაზ დარბაძე — სატყეო მეურნეობის დირექტორის მოადგილე
- 17. თამაზ მუშლაძე — კარიერის მოლარე
- 18. ბადრი გვიანიძე — რაიკომის ინსტრუქტორი
- 19. ზაზა ჩხიტიანი — საგზაო სამმართველოს უზნის უფროსი
- 20. თემურ ჩოხელი — რაიკომის ინსტრუქტორი
- 21. ომარ იმნაძე — მილიციის უფროსის მოადგილე.
- 22. ელგუჯა ხარშილაძე — ავტოსატრანსპორტო გაერთიანების მთ. ინჟინერი
- 23. ვაჟა ტაბატაძე — ლეჟბადინის კარიერის დირექტორი
- 24. ოთარ სამხარაძე — მეურნეობის დირექტორის მოადგილე
- 25. გივი ნადირაძე — საკომუნალური ბაზრის დირექტორი
- 26. ოთარ ლაშვი — ლომთაგორის მეურნეობის დირექტორი

აქვე დავხატავთ, რომ ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებული იყო ინფორმაცია მიწების გაყიდვის შესახებ მარნეულის რაიონში. ის ფაქტები მარნეულში როდენ მემარნიშვილის რაიკომის მდივნობის დროს მოხდა.

მუშავენი ვისაუბრებთ
ახალი საქართველო
მე ვიკლავ თვს
საქართველოს
სთვის
მე მოვარბა ლოკომო მ მეორე
მეტი ხელონი ახლებ
სვას

კომუნისტების წინააღმდეგ
ტერორის მსხვერპლი



სოხის რაიონში, სოფელ ხეთაში ცხოვრობდა ერთი ალაღმართალი ქართველი გლეხი

ვალერიან ტურავა. ზემოთ მოყვანილი წერილი მისი უკანასკნელი დანატოვარია ამ ცოდვილ მიწაზე. სუთი შვილისა და ექვნი შვილიშვილის პატრონი, მშრომელი კაცი, რომლის ერთადერთი დიდი შეცდომა, ალბათ, სკკპ-ს წევრობა იყო, თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს. იძულებით ეთხოვება ამ წუთისოფელს მამინე, როცა თავის მონაგარში უნდა გაეხარა.

ვალერიან ტურავას ვაჟიშვილი გივი ტურავა აცხადებს: საბჭოს თავმჯდომარემ ლონდონში გელოვანმა მითხრა, მამაშენმა მოიტანე პასპორტი და ხმა კომუნისტებს მისცე. ხანდა ხანდა კიდევ იპოვოს.

ცნობილია, რომ შაბათს, 3 ნოემბერს, მონდა შეხვედრა ვალერიან ტურავასა და ლონდონში გელოვანს შორის. მეორე დღით ვალერიან ტურავამ თავი ჩამოიხრჩო.

შვილები აცხადებენ, რომ ვალერიან ტურავამ 28 ოქტომბერს ხმა მისცა მრავალ მაგიდას და მის კანდიდატს.

ჩვენ წინასწარ არავის ვდებთ ბრალს. უბრალოდ, ფაქტი აღწვსსხეთ, კიდევ ერთი შემთხვევაა ფაქტი იმპერიის ყოველდღიური „ჩვეულებრივი“ ცხოვრებიდან.

საქართველოში კადრების უზრუნველყოფისა და აღზრდის საქმეს
ქართველი სპეციალისტი უნდა ხელმძღვანელობდეს

საზოგადოებრივი განსაკუთრებით ამ ბოლო წლებში, შემოთავაზებულია იმით, რომ საგარეოდაცო იმპერია რესპუბლიკაში მძიმე დანაშაულის რიცხვმა. კატასტროფულად იზრდება ყველა სახის დანაშაული, რაც საერთაშორისო დონაზე იზრდება, ძირითადად შინაგან საქმეთა სამინისტროს ცუდი მუშაობითაა გამოწვეული. უნდა ვიფიქროთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკების მოქმედება უმართლესი ვახდა, თორემ ვინ აუტყობდა მათ დანაშაულებრივ ელემენტებს დაქვეა და წესრიგის დამყარება?

მინაშევე პირები არ ისვენებენ და განაგრძობენ ახალ-ახალი ბოროტმოქმედების ჩადენას. ეს ყოველივე საუბრის სხვა თემაა და ამიტომ ამ საკითხზე მკითხველის ყურადღებას არ შევამჩნევთ. შევეხებით მხოლოდ კადრების შერჩევის საკითხს. მიმდინარე წლის 15 აგვისტოს რესპუბლიკის პროკურორმა ბატონმა ვახტანგ რაჭმაძემ ტელევიზიით გამოსვლისას ბრძანა: სამართალდამცავი ორგანოები კვალიფიციური კადრებით არ არის დაკომპლექტებული. მიგვაჩნია, რომ ეს ძირითადად ეხება შინაგან საქმეთა ორგანოებს, თორემ პროკურატურის, სასამართლოს და იუსტიციის სამინისტროს სისტემაში მო-

მუშავე ყველა თანამდებობის პირი იურისტია. იგივე მდგომარეობა უნდა იყოს შინაგან საქმეთა სამინისტროშიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ექსპერტის, წლების განმავლობაში ინიშნებიან თანამდებობებზე პედაგოგები, აგრონომები, ინჟინრები, სპორტსმენები და სხვა არასპეციალისტები, მაშინ, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ასობით იურისტი იძულებულია არასპეციალობით იმუშაოს. იშვიათად ზღვდა იმ პირთა დაწინაურება, რომლებიც წლობით მსახურობენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში რიგით თანამდებობებზე, ხასიათდებიან მხოლოდ დადებითად და პარალელურად დაუსწრებლად დებულობენ იურისტის კვალიფიკაციას.

არც ისაა დასაძალი, რომ საქართველოში ნებისმიერ პირს (არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა პროფესიისაა იგი) პქონდეს კომკავშირულ ან პარტიულ ორგანოებში მუშაობის მცირეოდენი სტაჟი, რომ ინიშნება ნებისმიერ ხელმძღვანელ თანამდებობაზე, ადგილი აქვს პროტექციით და ნაცნობობით კადრების შერჩევის დაუმსახურებლად მათი დაწინაურების ფაქტებს. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ასეთი კატეგორიიდან უმეტესმა ნაწილმა ვერ გაამართლა ნდობა და ისინი ნადრეგად დაითხოვეს სისტემიდან. მოვიყვან მხოლოდ ორ მაგალითს: ერთ-ერთ რაიონში მილიციის უფროსად გადაიყვანეს 50 წელს მიღწეული პარტიის რაიკომის განყოფილების გამგე, რა თქმა უნდა,

მან ვერ გაამართლა ნდობა და რამდენიმე თვეში დაითხოვეს. მოასწრო კი მილიციის განყოფილების დაშლამდე მიყვანა. მეორე რაიონში გამოცდილი მილიციის უფროსი იქვე მოადგილედ დააქვეითეს და მის ნაცვლად პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი დანიშნეს. ყოფილ უფროსს დაავალეს, მუშაობა ასწავლოს. მოკლე ხანში ორივე გაანთავისუფლეს. რატომ ხდება ეს ყოველივე და ვის აქვს მინდობილი კადრების შერჩევისა და აღზრდის საკითხი? უკანასკნელი სამი თვეული წლის განმავლობაში რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ კადრების დარგში ინიშნება ერთგვით არაქართველი პირი.

სიბუბა, თქმული ზვიად გამსახურდის მეგრ ივალთოს აკადემიაში, „მონტაჟაჟი“

მკვირვასო მავობრებო!
 ბედნიერი ხართ თქვენ, ბედნიერია საქართველო, რომ ასეთი დიდი გენიოსი ჰყავს, ასეთი დიდი მოძღვარი ჰყავს ერისა.
 ბედნიერი ხართ იმის გამო, რომ იკრიბებით იმ ეზოში, სადაც დააბიჯებდა დიდი შოთა და განა მარტოოდენ დააბიჯებდა, აზროვნებდა, ჰქმნიდა. დიას, ამ ეზოში, ამ ტაძარში ღოცულობდა, ღოცულობდა გულმზურვად; შოთა არ იყო უღმერთო, როგორც ეს კომუნისტებმა და საბჭოთა რუსთველოლოგიამ მოჭირა მე-20 საუკუნეში.
 შოთა იყო დიდი ღვთისმოსავი, დიდი მორწმუნე, ბერად შემდგარი პალესტინის წმინდა სავანეში. არა იმგვარად, როგორც ზოგიერთს ეოცნებება, განდევნილი იყო თითქოს საქართველოდან და იძულებით შედგაო ბერად.
 არა, მეგობრებო! ქართველი ერი იხსნა სარწმუნოებამ, ქრისტიანობამ და დიდი შოთა იყო დიდი მოციქული ქრისტესი.
 „ვეფხისტყაოსანი“ ქრისტეს დიდებაა, თუმცა კი ქრისტე თავის სახელით ნახსენები არ არის, რამეთუ მოქმედება პირობითად მუსულმანურ ქვეყნებშია გადატანილი.
 „ვეფხისტყაოსნის“ ყოველი სტრიქონი ღვთის დიდებას ღაღადებს, ღვთის ხატად შექმნილი ადამიანის დიდებას ღაღადებს. კაცთმოყვარეობას ღაღადებს, კეთილისა მიერ ბოროტის ძღვევას და დათრგუნვას ღაღადებს.
 მეგობრებო! უნდა გვახსოვდეს, ვისი გორისა ვართ! ჩვენ რუსთველის გორისა ვართ, ჩვენ საბას გორისა ვართ, ილიას გორისა ვართ!
 უნდა გვახსოვდეს და არ უნდა გავაბატონოთ ჩვენს მამულში უმეცრება, უღმერთოება, სიბნელე, კომუნისმი და ყოველგვარი უკეთურება!
 ჩვენ სამშობლო უნდა ვიხსნათ ქაჯთა ტყვეობიდან, წარტყვევნილი მამული ჩვენი, ხატაელთაგან იავარქმნილი, დაპყრობილი, ფეხქვეშაათელილი, ყოველნაირად უპატივქმნილი!
 აი, ეს არის, მეგობრებო, ჩვენი ამოცანა! ეს არის ჩვენი მიზანი — უნდა აღვდგეთ მამულისა ჩვენის სახსენლად, მის დასაცავად უკეთურთა, იმპერიის მონობისაგან!
 შოთას დღეობა ვალიც არის. დიდი, დიდი მოვალეობაა შოთას შთამომავლობა, შოთას მემკვიდრეობა. თუ გვსურს, რომ საქართველომ შოთას გზით იაროს, საქართველო აღარ უნდა იყოს მონა!
 აი, ამიტომ ყველა ქართველმა ახლებურად უნდა წაიკითხოს „ვეფხისტყაოსანი“.

ვინ არის ტარიელი?
 ტარიელი საქართველოა, მებრძოლი, მართლმადიდებელი საქართველო!
 ვინ არის ხატაელი? ვინ არის ქაჯეთი?
 ეს არის ის ბნელეთი, რომელიც ყოველ ეპოქაში ებრძოდა ნათელს, ებრძოდა სიკეთეს, ებრძოდა ღმერთს, ებრძოდა საქართველოს და საქართველო იყო მარადის ჟომაჯი ღვთის სიკეთისა, ღვთისა, საღვთო ნათლისა და იბრძოდა საღვთო ნათლის სახელით ამ ბნელეთის ძალების წინააღმდეგ და დღესაც ასე იბრძვის, ძმანო, დღესაც ასე იბრძვის, მიუხედავად იმისა, რომ ტარიელი დაცემულია, დათრგუნულია ნესტანის დაკარგვით, გახიზნულია ქვაბში, ველად იარება, რამეთუ სამშობლო მისი ხატაელთა აქვთ დაპყრობილი, მაგრამ იგი მოიკრებს ძალას, მოირთავს ძმათა თვისთა, გაძლიერდება, განმტკიცდება, აიღებს ქაჯეთს, დაამხოვს ქაჯეთს, იმპერიის ქაჯეთს დაამხოვს და გამოიხსნის თავისუფლებას, ნესტანს — თავისუფალ საქართველოს!
 მეგობრებო! საბჭოთა მეცნიერებამ, საბჭოთა რუსთველოლოგიამ ჯვარს აცვა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, ბნელ საუკუნეებში იგი არაერთხელ დასწვეს, მაგრამ დღეს მას ჯვარცმა მოუწყეს, რუსთველს უღმერთობა დასწამეს, მისი პოემა გააყალბეს, თვით ტექსტი მისი პოემისა თანამედროვე საბჭოთა რუსთველოლოგებმა გაანადგურეს. ამოიყო ბრძოლა დიდი რუსთველოლოგისა აკაკი შანიძისა, კორნელი კეკელიძისა, ჩვენი დიდი ქართველი მეცნიერებისა! „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი იავარქმნილია, წაბილწულია და საიუბილეო გამოცემად არის წოდებული. ჩვენ უნდა ვიხსნათ რუსთველი უმეცართა და ყალბისმქმნელთაგან!
 „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს საბჭოთა ხელისუფლებამ მუწეუმი არ აღიარა, ინსტიტუტი არ აღიარა, სავალალო მდგომარეობაშია ჩვენი ინსტიტუტი, რომლის უფროსი მეცნიერი თანამშრომელიც მე გახლავართ. რუსთაველის ინსტიტუტი სავალალო დღეშია, მაგრამ საქართველომ უნდა გაიღვიძოს, უნდა იხსნას რუსთველი ამ ბარბაროსთაგან. უნდა შეუქმნას მას ის დიდება, რომელიც მას ეკუთვნის საქართველოში და ეს ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, მეგობრებო! ჩვენზეა დამოკიდებული, თუ როგორ საქართველოს ავაშენებთ ხვალ!
 მაშ, მოდით, ერთად დავიარაზოთ, გავერთიანდეთ და 28 ოქტომბერს დავამხოთ ქაჯეთის ბნელი ძალები და გამოვიხსნათ ნესტანი — თავისუფალი საქართველო!

21 ოქტომბერი, 1990 წ.

მიმართვა ქართლ მოსახლეობისადმი

დღეებით სპეკულირებას; ჩვენ აჭარაში საჭირო მუშაობა ვერ გავწიეთ, აქ ასპარეზი დარჩათ ჩვენს მოწინააღმდეგეებს; ისინი ატყუებდნენ ხალხს, სახელს გვიტეხდნენ ჩვენ — შეურიგებელ ეროვნულ მოძრაობას, აგრესიულად მავობრებულ კორებს... ჩვენ ველარ გავწვიდით ამდენს, ვერ შეგძელით ხალხთან მისვლა, რომ მათ ჩვენი მოძრაობის ჰეგემონიტი სახე დაენახათ.
 ამდენად, არჩევნებში მიღებული ხმების 24 პროცენტი არაა აქაურ მკვიდრთა განწყობილების პირდაპირი გამოხატულება (შესაბამისად კომპარტიამ მიიღო 56 პროცენტი), მით უმეტეს, ჩვენთვის ცნობილია, რომ ჩვენი ოპონენტები არჩევნების დღესაც აგიტატოროდნენ (რაც კანონით აკრძალულია); იმპერიალისტურ ძალთა აგენტები ხალხს აშინებდნენ, ხმამაღლა მოუწოდებდნენ ხმა მიეცათ სკკპ-სთვის, ასე იყო, მაგალითად, როგორც ხმები მომწვდა, მაღალმთიან სოფელ იაკობაურში, ჭვანაში, ნინიაში. ასე ხდებოდა ქობულეთის რაიონშიც, ხელვაჩაურშიც, ხულოშიც. ამის მოქმედი პირებიც ცნობილია. მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ ვინმესთან ანგარიშსწორებას, ჩვენი მიზანი ურთიერთპატივისცემა და ურთიერთპატიებაა, ურთიერთდანილობაა, შეწყვეტა — ბოროტებას ბოროტებით ვერ მოსპობ! ბოროტებას ისევე სიკეთით უნდა დავუპირისპირდეთ.
 დავივიწყოთ წარსულის ცოდვები, ამ წუთისთვის ერთმანეთს ნულარ ვაწყენინებთ, ნულარ ვაწყვირავთ...
 ბევრს გვეკითხებიან, როგორია ჩვენი პოზიცია ავტონომიების შესახებ: ავტონომია საქართველოში შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ არაქართულ მოსახლეობას; ქართველთა ავტონომია საქართველოში, მეტყველებს რომ არ ვთქვამთ, დიდი შეუსაბამობაა,

ამიტომ ის, რა თქმა უნდა, ვსაუქმებელია; ჩვენი აზრით, მისი გაუქმების საკითხი თავად აჭარელებმა უნდა დააყენონ: მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება გაუქმების ფაქტი სამართლიანი და ბუნებრივი. ჩვენ არ ჩავერევიოთ აჭარის ავტონომიის გაუქმების საკითხში.
 აგრცელებენ კორებს, რომ ავტონომიის გაუქმების შემთხვევაში აჭარის მოსახლეობის სოციალური ინტერესები შეილახება!
 ასეთი პროვოკაციული განცხადების საპასუხოდ მომავალში ჩვენი საქმენი ილაღადებენ: ჩვენი მიზანია ისეთი დემოკრატიული საქართველო, სადაც არ შეილახება ეროვნული, რელიგიური, სოციალური, პოლიტიკური ინტერესები, სადაც ყველა სოფელი თუ კუთხე თავად აირჩევს საკუთარ ხელისუფლებას; მოისპობა „ზემოდან“ დანიშნის კომუნისტური პრაქტიკა. ჩვენთვის ნათელია, რომ ადგილობრივი მეურნეობის მართვა მხოლოდ ადგილობრივ პირს შეუძლია, საკუთარი სოფლის, კუთხის მცხოვრებთა ინტერესების დაცვა მხოლოდ აქაურ მკვიდრს შეუძლია — ამ პრინციპებით ვაპირებთ მუშაობას... აჭარის ავტონომიის დაცვით თავის სავარძლებს და პრივილეგიებს იცავს ბიუროკრატიული აპარატი. აჭარელთა ინტერესების პირველი დამცველი კი იქნება მომავალი საქართველოს ეროვნული პარლამენტი!
 აჭარაში მცირემიწიანობაა, ჩვენი მიზანია, თუკი ადგილობრივი ტერიტორიები საქმარისი არ აღმოჩნდება, საქართველოს სხვა კუთხეებში მივცეთ ყველა მსურველს საქართველოში... დღემდეც ყოველნაირად ვეზმარებოდით მათ, ახლა კი, ოფიციალური ქართული ხელისუფლება უფრო მეტად დაეხმარება ყველას.
 ყველაფერი მოგვარდება, თუკი ერთიანობა, ურთიერთდანილობა იქნება, თუკი ქართველი ერი, ერთიან კეთილშობილ სულად ქცეული, გაჰყვება მის მიერ არჩეულ ეროვნულ პარლამენტს.
 გაუმარჯოს დედა საქართველოს ერთიანობას!
 ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ზვიად გამსახურდია
5 ნოემბერი, 1990 წ.

მართველ ერს კაცობრიობის წინაშე აკისრია განსაკუთრებული სულიერი მისია.
 ამ მისიის შესრულება არ შეუძლია იმპერიის მიერ დანაწევრებულ, დამონებულ საქართველოს, ამიტომაც განგების განჩინებით, ახლანახა, პირველი მრავალპარტიული არასაბჭოთა არჩევნებით, მოგვეცა შანსი ავტონომიით ერთიანი, თავისუფალი, დემოკრატიული საქართველო...
 საქართველოს ისტორიული მტრები — მეზობელი იმპერიები — ჩვენი დაქუცმაცებით დილობდნენ ჩვენს დამონებასა და გადაგვარებას; მუჰაჯირობაც, აჭარის ავტონომიის შექმნაც, აჭარელთა ცალკე ერად გამოცხადებაც და კიდევ მრავალი სხვა მზაკვრობათი შეთანხმებული მოქმედებითაა განხორციელებული... ახლაც, წინასაარჩევნო პერიოდში, მომზადდა კიდევ ერთი შეთქმულება აჭარის (საქართველოს) წინააღმდეგ; ამის შესახებ, ჯერ კიდევ 28 ოქტომბრამდე, მიუთითებდა ტარიელ ფუტკარაძე წერილში „იმპერიალისტთა ახალი შეთქმულება აჭარის წინააღმდეგ“, რომელიც გაზეთ „თავისუფალ საქართველოში“ დაიბეჭდა და ჩვენ ამ საკითხს ახლა აღარ შეგვხვებით.
 ჩვენთვის ნათელია აჭარის მოსახლეობის დიდესი როლი ქართველი ერის ისტორიაში, აჭარა იყო ის პირველი კუთხე, რომელიც პირველმა, ჯერ კიდევ პირველ საუკუნეებში, მიიღო ქრისტიანობა და საფუძველი დაუდო ქართულ ხალხურ ქრისტიანობას — ეროვანიობასთან შეწყვეტულ ქრისტიანობას. აჭარა იყო პირველი ფარი საქართველოსი, შემოსეულ ურდოთა პირველი დარტყმები აჭარას ხდებოდა.
 აჭარა, საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, არის ის კუთხე, რომელიც მრავალგზის ეწამა თურქთა უღელქვეშე, რათა დანარჩენი საქართველო ეხსნათ... დიას, მოყვასისათვის ეწამა აჭარა, და ახლა მოყვასნი უნდა ამოუღდნენ მას მხარში.
 დღესაც დიდ განსაცდელშია საქართველოს ის ძირძველი კუთხე. სხვადასხვა რჯულის პროვოკატორები ცდილობენ არჩევნების შე-

მას შემდეგ ზღვრის რაიონულ განეთში 3 ნოემბერს დაიბეჭდა კანთელაშვილისა და გელაშვილის მიერ ხელმოწერილი წერილი „დემოკრატია სიმართლისა და არა სიცრუისა“.

ბულბუა, — დადებითი თუ უარყოფითი. „სტალინი“ აქვს არსებობის უფლება, მით უმეტეს, რომ საქართველოში არიან ადამიანები, ვისაც უყვართ სტალინი. ეს მათი უფლებაა.

რეპლიკა

გვერდი ვეცალე შენთვის...

ფიგურა ევროპაში, რომ სტალინი არ აკლდა არც კეპლერი, არც ნიჭი, არც ენერჯია, არც უნარი თავისი ნებისთვის დაემორჩილებინა მილიონობით ადამიანის ნება.

ნიჭი რომ სასიკეთოდ მოგმართა, საქართველოს ასამაღლებლად გარჯილიყო და არა მის დასაცემად.

გინდათ, ვთქვათ, მაგრამ დღეს ამას რაღა მნიშვნელობა აქვს? რა ვქნათ, გავაცოცხლოთ სტალინი? სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ეს შეუძლებელია.

ამ ორი ციტატადან, ისევე როგორც მთელი წერილის შინაარსიდან, თითქოს გაუგებარია, რომელი ორგანიზაციის მხარდამჭერები არიან ბატონები კანთელაშვილი და გელაშვილი — საზოგადოება „სტალინის“, თუ კომპარტიის.

მაგრამ, როგორც ჩანს, ორივე ამ ორგანიზაციის მხრიდან ამგვარ იდეურ უთანხმოებას იმდენად შიშობ, არაარსებით მნიშვნელობა ენიჭება, რომ ეს მათ წარმოადგენდეს არ უშლის ხელს, გასაოცარი ერთსულოვნებით გაერთიანდნენ იგივე ბატონი ნიკო ხაქაპურიძის წინააღმდეგ გაშლილ წინასაარჩევნო ბრძოლაში.

მარცხი და პროგნოზი საკითხი

სამართლებლო ეროვნულ სათათბიროში, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადა, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია (ცნობილი როგორც მენშევიკური, მარქსისტული პარტია) გადამწყვეტ უმრავლესობას შეადგენდა.

ართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში მნიშვნელოვანი ეტაპი იყო. თეზისის საქართველოს რუსეთთან „ნებაყოფლობითი“ შეერთებასი.

არ გაზრდილა, მატებამ შეადგინა მხოლოდ 4,8%. ასე რომ, 1800-1832 წლებში ქართველი ერის დანაკარგმა შეადგინა 270 ათასი კაცი, ახლ მისახლეობს 45%, მეჩინიკური ზრდა იყო 100 ათასი ადამიანი.

საქმე გაუგებრობისთან არა გვაქვს, მაშინ ესაა გამოხატულება კომუნისტური მიდგომისა, ვ. ი. ლენინის მითითების გათვალისწინებით: „უპოვებელია გადასებრო ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობისათვის“.

